საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს

892018990528

განცხადების რეგისტრაციის დრო
14 ნოე 2018 11:18

გადახდის ნომერი: **NW 16670794**
განცხადების ნომერი: 16670794
განცხადების მიღების დრო: 14 ნოე 2018 11:18

განცხადების მიღების ბარათი

თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ მიღებულ იქნა განცხადება (დაინტერესებული პირი: სს 'ლიბერთი ბანკი' /203828304/) რომლითაც მოთხოვნილია იჯარის უფლების წარმოშობის რეგისტრაცია უძრავ ნივთზე. უძრავი ნივთის მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, გურამ ფანჯიკიძის ქ. 6 (ზონა:თბილისი, სექტორი: საბურთალო)

განცხადებაში მოთხოვნილია საჯარო რეესტრში უფლების რეგისტრაციის დამადასტურებელი შემდეგი დოკუმენტები:

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადებას თან ახლავს შემდეგი დოკუმენტები:

1. წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი
2. იჯარის უფლების წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტი
3. ნიკოლოზ აბასაშვილის წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი იხ. რეგ. N892018359514
4. ნოდარ გურგენიძის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი

მომსახურების ვადა: 4 დღე.
საფასური: 55 ლარი.

მომსახურების ვადის ათვლა იწყება განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღეს და მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად. თუ სარეგისტრაციო წარმოების დასრულების დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, მაშინ სარეგისტრაციო წარმოება სრულდება მომდევნო სამუშაო დღეს.

თუ განცხადების რეგისტრაციისას მითითებული გაქვთ თქვენი მობილური ტელეფონის ნომერი, სარეგისტრაციო წარმოების დასრულების შესახებ ინფორმაციას თქვენ მიიღებთ უფასო SMS–ის საშუალებით.

სარეგისტრაციო სამსახურში მობრძანებამდე თქვენ აგრეთვე შეგიძლიათ წინასწარ მიიღოთ ინფორმაცია, თუ რა ეტაპზეა თქვენი სარეგისტრაციო განცხადების განხილვა.

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

იჯარის ხელშეკრულება №2

ქ. თბილისი, საქართველო **13 ნოემბერი, 2018 წელი**

1. წინამდებარე ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ:

1.1.	**ბანკი:**	
1.1.1.	საფირმო სახელწოდება:	**სს "ლიბერთი ბანკი"**
1.1.2.	იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №74;
1.1.3.	საიდენტიფიკაციო კოდი:	203828304
1.1.4.	*საკონტაქტო მონაცემები:*	
•	საკორესპონდენტო მისამართი: *(ივსება იმ შემთხვევაში თუ განსხვავდება იურიდიული მისამართისაგან)*	განსაზღვრული არ არის;
•	ტელეფონი:	+ 995 32 255 55 00
•	ფაქსი:	განსაზღვრული არ არის;
•	ელ-ფოსტა:	info@libertybank.ge
1.1.5.	*საბანკო რეკვიზიტები:*	
•	ბანკის დასახელება:	განსაზღვრული არ არის;
•	ბანკის სვიფტ კოდი:	განსაზღვრული არ არის;
•	ანგარიშის ნომერი:	განსაზღვრული არ არის;
1.1.6.	*წარმომადგენელი (ხელმომწერი) პირი:*	
•	სახელი და გვარი:	ნიკოლოზ აბასაშვილი
•	წარმომადგენლის თანამდებობა:	იჯარით აღებული აქტივების მართვის მენეჯერი

1.2.	**მეიჯარე:**	
1.2.1.	სახელი და გვარი/საფირმო სახელწოდება:	**შპს „მედოპტიკა“**
1.2.2.	რეგისტრაციის ადგილი/იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისის საბურთალოს რაიონში, ბუდაპეშტის ქუჩა, №6
1.2.3.	პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო კოდი:	211401348
1.2.4.	*საკონტაქტო მონაცემები:*	
•	საკორესპონდენტო მისამართი: *(ივსება იმ შემთხვევაში თუ განსხვავდება რეგისტრაციის ადგილისაგან/იურიდიული მისამართისაგან)*	განსაზღვრული არ არის;
•	საკონტაქტო პირი:	ნოდარ გურგენიძე
•	საკონტაქტო პირის საკორესპონდენტო მისამართი:	განსაზღვრული არ არის;
•	ტელეფონი:	599 17 66 53
•	ფაქსი:	განსაზღვრული არ არის;
•	ელ-ფოსტა:	განსაზღვრული არ არის;
1.2.5.	*საბანკო რეკვიზიტები:*	
•	ბანკის დასახელება:	სს „ლიბერთი ბანკი“
•	ბანკის სვიფტ კოდი:	LBRTGE22
•	ანგარიშის ნომერი:	3608627110
1.2.6.	*წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი):*	
•	სახელი და გვარი:	ნოდარი გურგენიძე
•	პირადი ნომერი:	01024025649
•	წარმომადგენლის თანამდებობა:	დირექტორი

2. **ხელშეკრულების საგანი**

2.1. **ხელშეკრულების** საფუძველზე და მისი პირობების შესაბამისად, **მეიჯარე** იღებს ვალდებულებას **ხელშეკრულების** მე-3 მუხლით განსაზღვრული **უძრავი ნივთი** (შემდგომში - **იჯარის საგანი**) დროებით სარგებლობის უფლებით გადასცეს **ბანკს**, ხოლო **ბანკი** იღებს ვალდებულებას მიიღოს **იჯარის საგანი** და გადაუხადოს **მეიჯარეს ხელშეკრულების** მე-4 მუხლით განსაზღვრული საფასური (შემდგომში - **იჯარის საფასური**).

2.2. **იჯარის საგნის** აღწერა, მისი **ბანკისათვის** მიწოდების პირობები, აგრეთვე **იჯარის საფასურის** მოცულობა, **პირგასამტეხლო** და **მხარეთა** მიერ შეთანხმებული სხვა დამატებითი პირობები მოცემულია **იჯარის ხელშეკრულების** მე-3 და მე-4 მუხლებში.

3. **იჯარის საგნის აღწერა და მისი ბანკისათვის მიწოდების პირობები**

3.1.	**იჯარის საგნის** აღწერა:	**იჯარის საგანი** განსაზღვრულია **ხელშეკრულების** №1 დანართით;
3.2.	**იჯარის საგნის ბანკისათვის** გადაცემის ვადა:	მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღეს;
3.3.	საიჯარო ურთიერთობის ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა:	საიჯარო ურთიერთობა ძალაში შედის **მხარეთა** შორის **ხელშეკრულების** და მიღება-ჩაბარების აქტის შედგენის დღიდან, ხოლო მოქმედებს შემდგომი 10 (ათი) კალენდარული წლის ვადით. საიჯარო ურთიერთობის მოქმედების ვადა ყოველ ჯერზე ავტომატურად გაგრძელდება იმავე ვადით და პირობ(ებ)ით, იმ შემთხვევაში თუ საიჯარო ურთიერთობის მოქმედების ვადის ამოწურვამდე 5 (ხუთი) **სამანკო** დღით ადრე, რომელიმე **მხარე** წერილობით არ მიმართავს მეორე **მხარეს ხელშეკრულების** შეწყვეტის შესახებ;

4. **იჯარის საფასური, პირგასამტეხლო და მხარეთა მიერ შეთანხმებული სხვა დამატებითი პირობები**

4.1.	*იჯარის საფასური:*	**ხელშეკრულების** ხელმოწერიდან 1 (ერთი) კალენდარული წლის განმავლობაში ყოველთვიური **იჯარის საფასური** შეადგენს 3,108 (სამი ათას ასრვა) აშშ დოლარის ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში, **იჯარის საფასურის** გადახდის დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული **ბანკის** მიერ ფიქსირებული ოფიციალური კურსის შესაბამისად, ხოლო **ხელშეკრულების** მოქმედების ვადის შემდგომი პერიოდისთვის **იჯარის საფასური** შეადგენს 3,330 (სამი ათას სამას ოცდაათი) აშშ დოლარის ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფიქსირებული ოფიციალური კურსის შესაბამისად;
4.1.1.	გადასახადები და გადასახდელები:	**იჯარის საფასური** მოიცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახდელს და გადასახადს;

ბანკი _____ **მეიჯარე** _____

4.1.2.	გადახდის პირობები:	**იჯარის საფასური ბანკის** მიერ გადახდილი იქნება საიჯარო ურთიერთობის ძალაში შესვლიდან ყოველი მომდევნო კალენდარული თვის 1 (პირველი) რიცხვიდან 10 (ათი) რიცხვის ჩათვლით.
4.1.3.	კომუნალური ან/და კომუნიკაციის მომსახურების ხარჯების გადახდა:	**იჯარის საგანთან** დაკავშირებული კომუნალური ან/და კომუნიკაციის მომსახურების, კერძოდ „ბუნებრივი აირის, ელექტროენერგიის“ და ა.შ. ხარჯების შესაბამისი მიმწოდებლისათვის გადახდის ვალდებულება ეკისრება **ბანკს.**
4.1.4.	**მხარეთა** შორის **ანგარიშსწორების** ფორმა:	უნაღდო
4.2.	**პირგასამტეხლო** და მისი გადახდის პირობები:	**მეიჯარე** იღებს ვალდებულებას, რომ მის მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულების დარღვევისათვის გადაუხადოს **ბანკს** ერთჯერადი პირგასამტეხლო **იჯარის საფასურის** ექვსმაგი ოდენობით და ყოველდღიური პირგასამტეხლო თითოეული დარღვეული ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის სრული **იჯარის საფასურის** მოცულობის 0.5%-ის ოდენობით.
4.3.	**მხარეთა** შორის შეთანხმებული სხვა დამატებითი პირობები:	ა) ვინაიდან **მხარეებმა** გამოთქვეს სურვილი მათ შორის არსებული მოქმედი იჯარის ხელშეკრულების ცვლილების თაობაზე, სახელშეკრულებო პირობების ცვლილების მასშტაბურობიდან გამომდინარე, მიიღეს გადაწყვეტილება გაეფორმებინათ წინამდებარე ახალი **ხელშეკრულება**. აქვე **მხარეები** თანხმდებიან, რომ წინამდებარე **ხელშეკრულების რეესტრში** რეგისტრაციით წყდება **მხარეთა** შორის 2017 წლის 14 მარტს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება. ბ) **მეიჯარე** აღიარებს რომ **ბანკს** ნაწილ (100 კვ.მ. ფართი) **იჯარის საგანზე** გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებ(ებ)ის ფარგლებში, ჩატარებული აქვს სარემონტო სამუშაოები და წინამდებარე **ხელშეკრულებაზე** თანდართულ მიღება-ჩაბარების აქტის 2.1. პუნქტში მითითებული **იჯარის საგნის** ტექნიკური მდგომარეობა წარმოადგენს **ბანკის** გაუმჯობესების შედეგს; გ) **მხარეები** თანხმდებიან, რომ წინამდებარე **ხელშეკრულების** ძალაში შესვლამდე და ძალაში შესვლის შემდგომ **ბანკის** მიერ ჩატარებული **კაპიტალური ან/და მიმდინარე სარემონტო სამუშაოების** ღირებულება, რომელიც დადასტურებული იქნება შესაბამისი საბუღალტრო დოკუმენტებით, **მეიჯარის** მხრიდან **ხელშეკრულების** ნებისმიერი პირობით (მათ შორის **მეიჯარის** ბრალეული ქმედების გამო **ბანკის** ინიციატივით) შეწყვეტის შემთხვევაში, ბუნებრივი ცვეთის, ამორტიზაციის გათვალისწინებით, ანაზღაურდება სრულად და ჯეროვნად, მისი/მათი გადახდის მოთხოვნის წარდგენიდან 10 (ათი) **სამანკო** დღის ვადაში; დ) **მხარეები** თანხმდებიან, რომ **მეიჯარის** მხრიდან **ხელშეკრულების** ნებისმიერი პირობით (მათ შორის **მეიჯარის** ბრალეული ქმედების გამო **ბანკის** ინიციატივით) შეწყვეტის შემთხვევაში **ბანკი** უფლებამოსილია მოსთხოვოს, ხოლო **მეიჯარე** ვალდებულია აუნაზღაუროს **ბანკს** ერთჯერადი პირგასამტეხლო **იჯარის საფასურის** ექვსმაგი ოდენობით გადახდის მოთხოვნის წარდგენიდან 10 (ათი) **სამანკო** დღის ვადაში; ე) **მხარეები** თანხმდებიან, რომ **მეიჯარე** ორ ფართს შორის გამყოფი კედლის ამოღების ვალდებულებას იღებს არაუგვიანეს **ხელშეკრულების** ხელმოწერიდან 10 (ათი) **სამანკო** დღის ვადაში; ვ) **მეიჯარე** ვალდებულია **იჯარის საგანზე** უზრუნველყოს ელექტროენერგიის წყარო 30 კვ ოდენობით სამფაზა კაბელი;

5. **ხელშეკრულების მოქმედების ფარგლები**

5.1. **მხარეთა** შორის დადებული **ხელშეკრულება** შედგება შემდეგი დოკუმენტებისაგან: (ა) წინამდებარე **იჯარის ხელშეკრულება** (ბ) **იჯარის ხელშეკრულების სტანდარტული პირობები** ან/და (გ) ნებისმიერი დამატებითი **დანართი.** ამასთან:

5.1.1. **იჯარის ხელშეკრულების** ან/და **დანართ(ებ)ის** პირობებთან **სტანდარტული პირობების** წინააღმდეგობის არსებობისას უპირატესობა მიენიჭება **იჯარის ხელშეკრულების** ან/და **დანართ(ებ)ის** პირობებს;

5.1.2. **იჯარის ხელშეკრულების** პირობებსა და **დანართ(ებ)ის** პირობებს შორის წინააღმდეგობის არსებობისას უპირატესობა მიენიჭება **დანართ(ებ)ის** პირობებს;

5.1.3. **დანართ(ებ)ის** პირობებს შორის წინააღმდეგობის არსებობისას უპირატესობა მიენიჭება იმ **დანართის** პირობებს, რომელიც ადგენს უფრო სპეციალურ პირობებს და განკუთვნილია კონკრეტული სამართალურთიერთობის მოსაწესრიგებლად.

6. **ხელშეკრულების** თითო იდენტური ეგზემპლარი გადაეცათ **მხარეებს**.

7. **მხარეთა** ხელმოწერები:

ბანკი	**მეიჯარე**
----------	----------

ბანკი /_____/ **მეიჯარე** /_____/

2018 წლის 13 ნოემბრის, №2 იჯარის ხელშეკრულების სტანდარტული პირობები

1. ტერმინთა განმარტებები

1.1. თუ წინამდებარე **ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული ან/და მისი კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ქვემოთმოცემულ ტერმინებს ენიჭებათ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.1. **ანგარიში - ბანკში** არსებული **მეიჯარის** საბანკო ანგარიშ(ებ)ი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

1.1.2. **ანგარიშსწორება** - სხვადასხვა საშუალებებით (მათ შორის საბანკო დაწესებულებების მეშვეობით) გადამხდელი **პირის** მიერ ფულადი სახსრების მიმღები **პირისათვის** გადაცემის შესრულების პროცესი;

1.1.3. **აფილირებული პირები** - **ბანკთან** წილობრივი ან/და სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე დაკავშირებული **პირ(ებ)ი**;

1.1.4. **ბანკი** - **იჯარის ხელშეკრულების** 1.1. პუნქტში მითითებული **პირი**, რომელიც წარმოადგენს **ხელშეკრულების მხარეს**;

1.1.5. **განცხადებები და გარანტიები - სტანდარტული პირობების** მე-2 მუხლში მოცემული **მეიჯარის** განცხადებები და გარანტიები;

1.1.6. **დანართი - მხარეთა** მიერ ხელმოწერილი ნებისმიერი დამატებითი დანართ(ებ)ი, რომელიც აზუსტებს, ცვლის ან/და წყვეტს **ხელშეკრულებას** ან/და მის პირობებს და წარმოადგენს **ხელშეკრულების** განუყოფელ ნაწილს;

1.1.7. **კანონმდებლობა** - საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, აგრეთვე საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში მოქცეული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების ერთობლიობა;

1.1.8. **კაპიტალური სარემონტო სამუშაოები** - ყველა სახის სამშენებლო, სარემონტო სამუშაოების, რომლის წარმოებაც **კანონმდებლობით** დადგენილი წესით საჭიროებს ადმინისტრაციული ორგანოს თანხმობას/ნებართვას;

1.1.9. **კონფიდენციალური ინფორმაცია** - თუ **ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **ხელშეკრულების** ხელმოწერის ან/და მისი შესრულების შედეგად ერთ-ერთი **მხარის** მიერ მეორე **მხარის** შესახებ მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან/და გაგზავნილი ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტაცია (მათ შორის ინფორმაცია/დოკუმენტაცია **მხარის** პერსონალური, წილობრივი, ფინანსური მონაცემების, **მხარის** მფლობელი/მმართველი/ურთიერთდაკავშირებული **პირ(ებ)ის, მესამე პირ(ებ)თან** არსებული გარიგებ(ებ)ის, მფლობელობაში არსებული მოძრავი ან/და უძრავი ობიექტ(ებ)ის, ბიზნეს პროცესის/პროცედურების, მარკეტინგული სტრატეგიის, პროექტ(ებ)ის ან/და სხვა სახის მონაცემების შესახებ) ან/და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია/დოკუმენტაცია;

1.1.10. **მიმდინარე სარემონტო სამუშაოები** - ყველა სახის სარემონტო სამუშაოები, რომელიც არ განეკუთვნება **კაპიტალურ სარემონტო სამუშაოებს**;

1.1.11. **მეიჯარე** - **იჯარის ხელშეკრულების** 1.2. პუნქტში მითითებული **პირი**, რომელიც წარმოადგენს **ხელშეკრულების მხარეს**;

1.1.12. **მესამე პირ(ებ)ი** - ნებისმიერი **პირი**, რომელიც არ წარმოადგენს **ხელშეკრულების მხარეს**;

1.1.13. **იჯარის ხელშეკრულება** - მხარეთა შორის დადებული გარიგება, რომლის დანართსაც წარმოადგენს წინამდებარე **სტანდარტული პირობები**;

1.1.14. **მოძრავი ნივთი** - ნებისმიერი ნივთ(ებ)ი (მათ შორის და არამარტო **იჯარის საგნის** საკუთნებელი), რომელიც **კანონმდებლობის** მიხედვით არ არის **უძრავი ნივთ(ებ)ი;**

1.1.15. **მხარე/მხარეები** - **ბანკი** ან/და **მეიჯარე** კონტექსტის შესაბამისად;

1.1.16. **ნივთობრივად უნაკლო** - **იჯარის საგანი** ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი შეესაბამება შეთანხმებულ პირობებს; ხოლო, თუ ეს პირობები შეთანხმებული არ არის, მაშინ **იჯარის საგანი** ნივთობრივად უნაკლოა, თუკი ის ვარგისია **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი გამოყენებისათვის. ამასთან, ნივთობრივ ნაკლს უთანაბრდება, თუ **მეიჯარე ბანკს** დროებით სარგებლობაში გადასცემს ნივთის მხოლოდ ნაწილს, სულ სხვა ნივთს, მცირე რაოდენობით ან, თუ ნივთის ერთი ნაწილი ნაკლის მქონეა;

1.1.17. **პირგასამტეხლო (ჯარიმა) – ხელშეკრულებით** განსაზღვრული ფულადი თანხა, რომლის გადახდის ვალდებულებაც შესაბამის **მხარეს** წარმოეშვება მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შედეგად;

1.1.18. **პირი/პირები** - ფიზიკური პირ(ებ)ი, იურიდიული პირ(ებ)ი (მათ შორის საჯარო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ი), არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირ(ებ)ი ან/და **კანონმდებლობის** საფუძველზე შექმნილი სხვა ორგანიზაციული/არარეგისტრირებული წარმონაქმნ(ებ)ი;

1.1.19. **რეესტრი** - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი ან/და სხვა **კანონმდებლობით** განსაზღვრული მარეგისტრირებელი სუბიექტი, რომელიც **ხელშეკრულების** საფუძველზე ახორციელებს მათ შორის და არამარტო **იჯარის საგანთან** დაკავშირებული **მხარის** უფლებების ან/და მოვალეობების რეესტრში რეგისტრაციას;

1.1.20. **საანგარიშო თვე** - 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე;

1.1.21. **საანგარიშო წელი** - 365 (სამას სამოცდახუთი) კალენდარული დღე;

1.1.22. **საბანკო დღე - ბანკის** მიერ დადგენილი სამუშაო დღის (**ბანკის** მიერ განსაზღვრული დასვენების ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი უქმე დღეების გარდა) ის ნაწილი, რომლის განმავლობაშიც **ბანკი** ახორციელებს საბანკო მომსახურებას;

1.1.23. **სტანდარტული პირობები** - წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი **იჯარის ხელშეკრულების** სტანდარტული პირობები, რომელიც წარმოადგენს **ხელშეკრულების** განუყოფელ ნაწილს;

1.1.24. **უფლებრივად უნაკლო - იჯარის საგანი**, რომლის მიმართ **მესამე პირ(ებ)ს** არ შეუძლიათ გამოიყენონ რაიმე სახის უფლებები **ბანკის** წინააღმდეგ ან/და წარუდგინონ **ბანკს** პრეტენზია აღნიშნული უფლებების გამო;

1.1.25. **უძრავი ნივთი** – მიწის ნაკვეთ(ებ)ი მასზე არსებული შენობა-ნაგებობ(ებ)ით ან მის/მათ გარეშე, შენობა-ნაგებობა/შენობა-ნაგებობები (მშენებარე, აშენებული ან დანგრეული), შენობა-ნაგებობ(ებ)ის ერთეულ(ებ)ი (მშენებარე, აშენებული ან დანგრეული) და ხაზობრივი ნაგებობა/ნაგებობები;

1.1.26. **ფორს-მაჟორი/ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ი - ხელშეკრულების** ხელმოწერის შემდეგ წარმოშობილი დაუძლეველი ძალის გარემოებები, სტიქიური მოვლენები, კატაკლიზმები, ომი, სამოქალაქო არეულობა, გაფიცვა, ლოკაუტი, კარანტინი, საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლების ან/და თვითმმართველობის ორგანოების, საერთაშორისო საგადამხდელო სისტემების გადაწყვეტილებები და ა.შ. რომელიც: (ა) არ არის დაკავშირებული **მხარეთა** ქმედებასთან ან/და უმოქმედობასთან; და (ბ) შეუძლებელს ხდის **მხარეთა** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვადამოსული ვალდებულებ(ებ)ის სრულ და ჯეროვან შესრულებას;

1.1.27. **ხელშეკრულება - მხარეთა** შორის გაფორმებული: (ა) **იჯარის ხელშეკრულება**; (ბ) **სტანდარტული პირობები** ან/და (გ) ნებისმიერი დამატებითი **დანართი**, რომელიც დაიდო/დაიდება ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2. განცხადებები და გარანტიები

2.1. **მეიჯარე** აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ:

2.1.1. წარმოადგენს უფლებაუნარიან და ქმედუნარიან **პირს,** რომელსაც **ხელშეკრულების** დადების მიზნით მოპოვებული აქვს ყველა საჭირო თანხმობა, ნებართვა ან/და დავალება (მინდობილობა);

2.1.2. **იჯარის საგანს** არ გააჩნია უფლებრივი ან/და ნივთობრივი ნაკლი;

2.1.3. მის მიერ **ხელშეკრულების** დადება ან/და შესრულება არ მოდის წინააღმდეგობაში **კანონმდებლობასთან** (მათ შორის **მეიჯარის** იურისდიქციის კანონმდებლობასთან), საერთაშორისო ნორმებთან, **მეიჯარის** დებულებებთან, წესდებებთან, გადაწყვეტილებებთან, სადამფუძნებლო ან/და სხვა სახის დოკუმენტებთან, არ იწვევს სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობებით ნაკისრი/განსაზღვრული ვალდებულებ(ებ)ის დარღვევას და არ წარმოშობს **მესამე პირ(ებ)ისათვის ხელშეკრულებაზე** შეცილების უფლებას;

2.1.4. **ხელშეკრულების** დადების თარიღისათვის მისთვის არ არის ცნობილი **ფორს-მაჟორის** არსებობის შესახებ, რომელიც შეუძლებელს გახდის **მხარეთა** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვადამოსული ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებას;

2.1.5. **მეიჯარე** მოპასუხის ან მესამე პირის სახით არ მონაწილეობს სასამართლო ან/და საარბიტრაჟო დავაში, ადმინისტრაციულ წარმოებებში, რომელიც ხელს შეუშლის **მხარეთა** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას;

2.1.6. წარმოადგენს გადახდისუნარიან **პირს,** რომლის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის (გაკოტრების ან რეაბილიტაციის) საქმისწარმოება, ლიკვიდაციის პროცესი, ან/და არ არსებობს სხვა სახის გარემოება, რომელიც ხელს შეუშლის **მხარეთა** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას;

2.1.7. **ხელშეკრულების** დადების მიზნით, **ბანკისათვის** წარდგენილი ინფორმაცია არის უტყუარი და ზუსტი, ხოლო დოკუმენტები (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად წესდება, სადამფუძნებლო დოკუმენტ(ებ)ი, დავალება (მინდობილობა) და სხვა) წარმოადგენს სრულ და მოქმედ რედაქციას;

2.1.8. არ მონაწილეობს, პირდაპირ ან არაპირდაპირ, რაიმე უკანონო საქმიანობაში (მათ შორის, ფულის გათეთრებაში, იარაღით ვაჭრობაში, ნარკოტიკებით ვაჭრობაში ან/და ტერორიზმში), რომელიც ეწინააღმდეგება ნებისმიერი იურისდიქციის კანონმდებლობას (მათ შორის, **მეიჯარის** რეზიდენტი ქვეყნის იურისდიქციის კანონმდებლობას) და არ იყენებს თავის საქმიანობაში (მათი თანხმობის ან/და შესაბამისი ნებართვის გარეშე) არასრულწლოვნის ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე **პირების** შრომას.

2.1.9. **ხელშეკრულების** დადებისას **ბანკის** ან/და **მესამე პირ(ებ)ის** მხრიდან ადგილი არ ჰქონია, **მეიჯარის** ან/და მისი ახლობლების მიმართ იძულებას, მოტყუებას ან/და მუქარას, **ბანკს** არ უსარგებლია **მეიჯარის** მძიმე ფინანსური მდგომარეობით და არ გამოუყენებია ბოროტად **ბანკის** საბაზრო ძალაუფლება.

2.2. **მეიჯარე** ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს **ბანკს** ნებისმიერი გარემოებ(ებ)ის შესახებ, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს **ხელშეკრულებაში**

ბანკი

მეიჯარე

მითითებული **განცხადებებისა და გარანტიების** ან/და **ხელშეკრულებით** ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულება(ებ)ის დარღვევა.

2.3. **მხარეები** აცნობიერებენ და თანხმდებიან, რომ **ხელშეკრულებას** დებენ **განცხადებებსა და გარანტიებზე** დაყრდნობით და თვლიან მათ **ხელშეკრულების** პირობებად. შესაბამისად, **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული **განცხადებების და გარანტიების** დარღვევა საკმარის საფუძველს წარმოადგენს **ბანკის** მიერ **ხელშეკრულებაზე** ცალმხრივი უარის სათქმელად.

3. ხელშეკრულების ძირითადი პირობები

3.1. *იჯარის საგნის ბანკისათვის მიწოდება/გადაცემა.* **მეიჯარე** ვალდებულია, **ხელშეკრულებით** განსაზღვრულ ვადაში მიაწოდოს **ბანკს ნივთობრივად** და **უფლებრივად უნაკლო იჯარის საგანი.**

3.2. **მეიჯარე** ვალდებულია **იჯარის საგანთან** ერთად მიაწოდოს **ბანკს** მასთან (**იჯარის საგანთან**) დაკავშირებული საბუთები (მათ შორის **რეესტრის** ამონაწერები, **უძრავი ქონების** ექსპლუატაციასთან, არქიტექტურულ-საინჟინრო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული დოკუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სხვა).

3.3. **მეიჯარის** მიერ **ბანკისათვის იჯარის საგნის** მიწოდება და **ბანკის** მიერ **მეიჯარისათვის იჯარის საგნის** უკან დაბრუნება უნდა დასტურდებოდეს **მხარეთა** შორის შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტით.

3.4. მიუხედავად **მხარეთა** შორის მიღება-ჩაბარების აქტის არსებობისა ან არარსებობისა, თუ **მეიჯარის** მიერ **ბანკისათვის** მიწოდებული **იჯარის საგანი** (მათ შორის და არამარტო **იჯარის საგნის** საკუთვნებელი) ან მისი ნაწილი არ არის **უფლებრივად** ან/და **ნივთობრივად უნაკლო, ბანკი** უფლებამოსილია:

3.4.1. ავტორიტეტული საექსპერტო დაწესებულების დასკვნის საფუძველზე, შეამციროს **იჯარის საფასურის** მოცულობა იმ ოდენობით, რა ოდენობითაც შემცირდა **იჯარის საგნის** (**იჯარის საგნის** საკუთვნებლის) ვარგისიანობა/სარგებლიანობა; ან/და

3.4.2. მოსთხოვოს **მეიჯარეს**, ხოლო **მეიჯარემ ბანკის** მიერ განსაზღვრულ ვადაში (დამატებითი ვადა), საკუთარი ხარჯით აღმოფხვრას არსებული ნაკლი (გვაროვნული **მოძრავ ნივთის** (საკუთვნებლის) შემთხვევაში მიაწოდოს **ბანკს** ახალი **მოძრავი ნივთი** (საკუთვნებელი)). ხოლო **მეიჯარისათვის** განსაზღვრული/დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, **ბანკმა** თავად განახორციელოს ნაკლის აღმოფხვრა და მოსთხოვოს **მეიჯარეს** ნაკლის გამოსწორებისათვის გაწეულის ხარჯის, მათ შორის ზიანის (ზარალის), სრულად ანაზღაურება; ან/და

3.4.3. თუ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე დამატებითი ვადა არ გამოიყენება, **მეიჯარის** გაფრთხილების საფუძველზე: (ა) **ბანკმა** თავად განახორციელოს ნაკლის აღმოფხვრა და მოსთხოვოს **მეიჯარეს** ნაკლის გამოსწორებისათვის გაწეულის ხარჯის, მათ შორის ზიანის (ზარალის), სრულად ანაზღაურება; ან/და (ბ) სრულად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს **ხელშეკრულების** მოქმედება.

3.5. **მეიჯარის** მიერ **ბანკისათვის იჯარის საგანი** მიწოდებულად ჩაითვლება, **იჯარის საგანის ბანკისათვის** გადაცემის, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ შემთხვევებში **იჯარის საგანზე ბანკის** უფლების **რეესტრში** რეგისტრაციის მომენტიდან.

3.6. თუ **ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **მეიჯარე** ვალდებულია **იჯარის საგნის ბანკისათვის** მიწოდებიდან 1 (ერთი) კალენდარული დღის ვადაში, აღნიშნული უფლებ(ებ)ის რეგისტრაციის მიზნით მიმართოს **რეესტრს** და წარადგინოს ყველა აუცილებელი და საჭირო დოკუმენტაცია. ამასთან, **მეიჯარის** აღნიშნული ვალდებულება **ბანკს** არ ართმევს უფლებას, აღნიშნული ვადის განმავლობაში ან მისი ამოწურვის შემდგომ, მიმართოს **რეესტრს იჯარის საგანთან** დაკავშირებული ზემოხსენებული უფლებ(ებ)ის რეგისტრაციის მოთხოვნით.

3.7. *იჯარის საგნით სარგებლობა და მოვლა-პატრონობა.* **იჯარის საგნით** სარგებლობის უფლება გულისხმობს **იჯარის საგნით** თავისუფალი და უწყვეტი სარგებლობის უფლებას **ბანკის**, ასევე მისი **აფილირებული პირების** მიერ **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული მიზნებისათვის (მათ შორის ფილიალ(ებ)ის, სერვისცენტრ(ებ)ის, კვანძგარეშე სალარო(ებ)ის განთავსებისთვის, საბანკო/ფინანსური საქმიანობისათვის), რაც მოიცავს **ბანკის**, ასევე მისი **აფილირებული პირების** მიერ ნებისმიერ დროს **იჯარის საგნით** და მასთან მისასვლელებით (საერთო ქონებით) სარგებლობის უფლებასაც.

3.8. **მეიჯარე** ვალდებულია უზრუნველყოს, რომ **ბანკმა** სრულად და ჯეროვნად ისარგებლოს **იჯარის საგნით**. იმ შემთხვევაში თუ **ბანკს** შეეზღუდება ან/და ჩამოერთმევა **იჯარის საგნით** სარგებლობის უფლება, **მეიჯარე** ვალდებულია, **ბანკის** მოთხოვნისას, აღმოფხვრას აღნიშნული სარგებლობის ხელშემშლელი გარემოებები.

3.9. **ბანკი** უფლებამოსილია **იჯარის საგნის** ტერიტორიაზე, ასევე **იჯარის საგანთან** დაკავშირებულ საერთო ქონებაზე (მათ შორის ფასადზე და სხვა) განათავსოს **ბანკის** ან/და **აფილირებული პირების** საქმიანობის საგანთან დაკავშირებული სარეკლამო საშუალებები/მასალები.

3.10. **ბანკი** ვალდებულია განახორციელოს **იჯარის საგნის** მოვლა-პატრონობა, იქონიოს იგი სრულ წესრიგში და **იჯარის საგანთან** მიმართებაში დაიცვას ტექნიკური ექსპლოატაციის, სანიტარულ-ჰიგიენური, უსაფრთხოების (მათ შორის, ხანძარსაწინააღმდეგო) წესები და ნორმები, აგრეთვე მოწყობილობების, ინვენტარის, საინჟინრო კომუნიკაციებისა და ქსელების ექსპლოატაციის წესები.

3.11. თუ **ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **მეიჯარე** ვალდებულია არ ჩაერიოს **ბანკის** ან/და მისი **აფილირებული პირების** საქმიანობაში და **იჯარის საგნის** გამოყენებაში (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც **ბანკი იჯარის საგანს** იყენებს **ხელშეკრულებით** გაუთვალისწინებელი მიზნებისთვის). იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ჩარევის შედეგად **ბანკი** კარგავს **იჯარის საგნის** ან მისი ნაწილის გამოყენების საშუალებას, მაშინ **ბანკი** უფლებამოსილია უარი თქვას **იჯარის საფასურის** გადახდაზე **იჯარის საგნის** იმ ნაწილთან დაკავშირებით, რომლითაც იგი ვერ სარგებლობს.

3.12. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი იმ ზიანისათვის/ზარალისათვის, რომელიც გამომდინარეობს **იჯარის საგნის ხელშეკრულებით** განსაზღვრული სარგებლობის და **იჯარის საგნის** სწორი ექსპლოატაციის, ამორციზაციის ან/და ნორმალური ცვეთის შედეგად.

3.13. *იჯარის საგნის გაუმჯობესება.* **მეიჯარე** იღებს ვალდებულებას **ხელშეკრულების** მოქმედების განმავლობაში საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს **იჯარის საგნის** (მზიდი კედლების, ჭერის, იატაკის, ცენტრალური ელექტრო და მილგაყვანილობის და ა.შ. ჩათვლით) ან/და მასთან დაკავშირებული კომუნიკაციის საშუალებების (მათ შორის ელექტროენერგიის სამფაზა კაბელი, ელექტროენერგიის მრიცხველი, ბუნებრივი აირის ქსელი, გაზის მრიცხველი, სასმელი წყლის გაყვანილობა, კანალიზაცია, სატელეფონო და ინტერნეტ კავშირის ხაზები) კარგ მდგომარეობაში შენახვა და **კაპიტალური და მიმდინარე სარემონტო სამუშაოების** წარმოება, იმ შემთხვევაში თუ **იჯარის საგნის** ან/და მასთან დაკავშირებული კომუნიკაციის საშუალებების დაზიანება არ წარმოადგენს **ბანკის** ბრალეული ქმედების შედეგს. **მეიჯარემ** აღნიშნული ვალდებულების განხორციელებისას, თუ ეს შესაძლებელია, წინასწარ უნდა აცნობოს **ბანკს** და არ დაუშვას ისეთი ქმედებები, რომლებიც აუცილებლობით არ არის გამოწვეული.

3.14. იმ შემთხვევაში, თუ **მეიჯარე** არ უზრუნველყოფს დაზიანების აღმოფხვრას, **ბანკი** ნებისმიერ დროს საკუთარი ხარჯით, თავად უზრუნველყოფს **იჯარის საგანზე** ან/და მასთან დაკავშირებულ კომუნიკაციის საშუალებებზე როგორც **კაპიტალური**, ასევე **მიმდინარე სარემონტო სამუშაოების** ჩატარებას. **მხარეები** თანხმდებიან, რომ **ბანკის** მიერ ჩატარებული **კაპიტალური ან/და მიმდინარე სარემონტო სამუშაოების** ღირებულება, რომელიც დადასტურებული იქნება შესაბამისი საბუღალტრო დოკუმენტებით, **ბანკის** მიერვე განსაზღვრული პერიოდულობით, გაიქვითება **იჯარის საფასურის** მოცულობაში.

3.15. **მხარეები** თანხმდებიან, რომ წინამდებარე **ხელშეკრულება** წარმოადგენს **მეიჯარის** გამოუთხოვად თანხმობას **კაპიტალური სარემონტო სამუშაოების** წარმოებაზე, რომელიც შესაბამისი ნებართვის მიღების მიზნით შესაძლებელია წარედგინოს უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანო(ებ)ს. ამასთან, მიუხედავად აღნიშნული პირობის არსებობისა, **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დრო მიმართოს **მეიჯარეს**, ხოლო **მეიჯარე** ვალდებულია, **კაპიტალური სარემონტო სამუშაოების** განხორციელების მიზნით, **ბანკს** მისცეს შესაბამისი წერილობითი თანხმობა.

3.16. **ბანკი** უფლებამოსილია **ხელშეკრულების** შეწყვეტის შემთხვევაში მოხსნას და თან წაიღოს მის მიერ **იჯარის საგანზე** დამონტაჟებული ნებისმიერი მოწყობილობა, დანადგარი ან/და სხვა **მოძრავ ნივთი**. **ბანკმა** უნდა უზრუნველყოს, რომ აღნიშნული ნივთების დემონტაჟი ან/და გატანა განხორციელდეს **იჯარის საგნის** არსებითი დაზიანების გარეშე. არსებითი დაზიანების არსებობის შემთხვევაში **ბანკი** ვალდებულია, **მეიჯარისათვის იჯარის საგნის** დაბრუნებამდე, აღმოფხვრას აღნიშნული დაზიანებები.

3.17. **მეიჯარე** უფლებამოსილია, **ხელშეკრულების** შეწყვეტის თარიღიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში, წერილობით მიმართოს **ბანკს**, სათანადო კომპენსაციის სანაცვლოდ, **იჯარის საგანზე ბანკის** მიერ დამონტაჟებული მოწყობილობების, დანადგარების ან/და სხვა **მოძრავი ნივთების**, **მეიჯარისათვის** საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნით. **ბანკი** მოთხოვნას განიხილავს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ **მეიჯარე** წარადგენს **ბანკისთვის** მისაღები, ავტორიტეტული საექსპერტო დაწესებულების დასკვნას, რომლითაც შეფასებული იქნება მოთხოვნილი **მოძრავი ნივთების** ღირებულება. **ბანკის** თანხმობის შემთხვევაში **მეიჯარისათვის** მოწყობილობების, დანადგარების ან/და სხვა **მოძრავი ნივთების** საკუთრებაში გადაცემა განხორციელდება **ბანკის** მიერ განსაზღვრული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე.

3.18. *ქვეიჯარა.* **ხელშეკრულების** მოქმედების განმავლობაში **ბანკი** უფლებამოსილია, **მეიჯარის** წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე, **მესამე პირ(ებ)ს** ქვეიჯარით გადასცეს **იჯარის საგანი** ან მისი ნებისმიერი ნაწილი. ამასთან, **ბანკი** ვალდებულია, **მეიჯარისაგან** შესაბამისი თანხმობის მიღების მიზნით, **მეიჯარეს** მიაწოდოს ინფორმაცია სავარაუდო ქვემოიჯარის შესახებ, ხოლო **იჯარის საგნის** ქვეიჯარით გაცემისას უზრუნველყოს ქვეიჯარის პირობების (მათ შორის, ქვეიჯარის ვადა, იჯარის საგნის მოვლა და ა.შ.) შესაბამისობა **ხელშეკრულების** პირობებთან.

3.19. *იჯარის საგნის გასხვისება/განკარგვა.* **მეიჯარე** ვალდებულია **იჯარის საგანი** გაასხვისოს ან/და უფლებრივად განკარგოს (იპოთეკით დატვირთოს, **იჯარის საგნის** გარდაქმნა და სხვა) **ბანკის** წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე. ამასთან იმ შემთხვევაში, თუ **მეიჯარეს** სურს **იჯარის საგნის**

ბანკი /

მეიჯარე /

მესამე პირზე გასხვისება, **მეიჯარე** ვალდებულია გასხვისების სავარაუდო თარიღამდე არანაკლებ 30 (ოცდაათი) **საბანკო დღით** ადრე **ბანკს** შესთავაზოს **იჯარის საგნის** შეძენა. **მეიჯარის** წერილობითი შეტყობინება უნდა მოიცავდეს სრულყოფილ ინფორმაციას მომავალი მყიდველის შესახებ, რომელიც უნდა იყოს კეთილსინდისიერი შემძენი, უნდა შეეძლოს შესყიდვის საფასურის გადახდა და აკმაყოფილებდეს წარმოდგენილი შეთავაზების სხვა ფინანსურ და მატერიალურ პირობებს. ამგვარი უფლების გამოყენების თაობაზე **ბანკის** მიერ გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან 20 (ოცი) **საბანკო დღის** ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ **ბანკი** უარს განაცხადებს **იჯარის საგნის** შეძენაზე, **მეიჯარე** ვალდებულია **იჯარის საგანზე** საკუთრების უფლება **მესამე პირ(ებ)ზე** არ გაასხვისოს მხოლოდ **ბანკისთვის** შეთავაზებული ანალოგიური პირობებით და იმის გათვალისწინებით, რომ **მესამე პირ(ებ)ის** მიერ გაგრძელებული იქნება წინამდებარე **ხელშეკრულება** იმავე პირობებით.

3.20. **მეიჯარე** ვალდებულია **იჯარის საგანი** გააჩუქოს **ბანკის** წინასწარი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. ამასთან იმ შემთხვევაში, თუ **მეიჯარეს** სურს **იჯარის საგნის მესამე პირზე** გაჩუქება, **მეიჯარე** ვალდებულია გაჩუქების სავარაუდო თარიღამდე არანაკლებ 30 (ოცდაათი) **საბანკო დღით** ადრე **ბანკს** შეატყობინოს აღნიშნულის თაობაზე. **მეიჯარის** წერილობითი შეტყობინება უნდა მოიცავდეს სრულყოფილ ინფორმაციას მომავალი დასაჩუქრებულის შესახებ, რომელიც უნდა იყოს კეთილსინდისიერი და სრულად აკმაყოფილებდეს **ხელშეკრულებით** განსზღვრულ მოთხოვნებს. **მეიჯარე** ვალდებულია **იჯარის საგანზე** საკუთრების უფლება **მესამე პირ(ებ)ზე** გადასცეს მხოლოდ იმის გათვალისწინებით, რომ **მესამე პირ(ებ)ის** მიერ გაგრძელებული იქნება წინამდებარე **ხელშეკრულება** იმავე პირობებით, გარდა ამის **მეიჯარე** იღებს ვალდებულებას დაავალდებულოს დასაჩურებული საკუთრების უფლების **რეესტრში** რეგისტრაციის შემდგომ წერილობითი ფორმით წარმოუდგინოს **ბანკს** საკუთარი საკონტაქტო, სარეგისტრაციო და **საბანკო** რეკვიზიტები.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. **მხარეები** იღებენ ვალდებულებას აუნაზღაურონ ერთმანეთს მათ მიერ **ხელშეკრულების** შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი (ზარალი) **კანონმდებლობით** ან/და **ხელშეკრულებით** დადგენილი წესით.

4.2. მიუხედავად **სტანდარტული პირობების** 4.1. პუნქტით განსაზღვრული გარანტიისა, **მეიჯარის** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად, **მეიჯარე** აცხადებს წინასწარ თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, **ბანკმა** საკუთარი შეხედულებისამებრ:

4.2.1. **მეიჯარის** ნებისმიერი სახის **ბანკში** არსებული **ანგარიშიდან** უაქცეპტოდ ჩამოწეროს ყველა გადასახდელი (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად ზიანის/ზარალის ანაზღაურების თანხები) და მიმართოს არსებული ფულადი ვალდებულებების დასაფარად/შესამცირებლად;

4.2.2. თუ გადასახდელი და **ანგარიშზე** რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკმა** თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის **ბანკში** მოქმედი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს **მეიჯარის ანგარიშიდან.**

4.2.3. **ბანკის** წინაშე არსებული **მეიჯარის** ვალდებულებები გაქვითოს **მეიჯარის** წინაშე არსებულ **ბანკის** ნებისმიერ ვალდებულებაში (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად **იჯარის საფასურის** გადახდის ვალდებულებაში და სხვა).

5. ხელშეკრულების მოქმედება და ხელშეკრულების შეწყვეტა

5.1. **ხელშეკრულება** ძალაში შედის **მხარეთა** მიერ მისი ხელმოწერის დღიდან (გარდა **იჯარის საგანთან** დაკავშირებული ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმებისა, რომელიც ძალაში შედის **ხელშეკრულების რეესტრში** რეგისტრაციის დღიდან) და მოქმედებს **მხარეთა** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

5.2. **ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** განსაზღვრულ შემთხვევებში და პირობებით შესაძლებელია **ხელშეკრულების** ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა:

5.2.1. **ბანკის** მიერ, თუ **მეიჯარე** სრულად და ჯეროვნად არ შეასრულებს **ხელშეკრულებით** განსაზღვრულ ნებისმიერ ვალდებულებას (მათ შორის, ფულად ვალდებულებას, **განცხადებებს და გარანტიებს**, ნებისმიერ პირობას ან/და სხვა ვალდებულებას);

5.2.2. **ბანკის** მიერ, თუ **იჯარის საგანი** ისეთ მდგომარეობაშია, რომ მისი გამოყენება მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის **პირთა** ჯანმრთელობას;

5.2.3. **ხელშეკრულების** მოქმედების ვადის გასვლით;

5.2.4. **მხარეთა** წერილობითი შეთანხმებით;

5.2.5. **ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

5.3. იმ შემთხვევაში, თუ **მეიჯარე კანონმდებლობის** საფუძველზე და მის შესაბამისად მიიღებს **ხელშეკრულების** ცალმხრივად სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის გადაწყვეტილებას, ვალდებულია წერილობით შეატყობინოს **ბანკს** მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი, რომელიც არ უნდა იყოს 60 (სამოცი) კალენდარულ დღეზე ნაკლები. ხოლო თუ **ხელშეკრულებით** გათვალისწინებულ შემთხვევებში **ხელშეკრულება** უნდა შეწყდეს უფრო მოკლე ვადებში ან/და **ბანკს** მიზანშეწონილად მიაჩნია **ხელშეკრულების** უფრო მოკლე ვადებში შეწყვეტა, **ხელშეკრულება** შეიძლება უფრო მოკლე ვადებშიც შეწყდეს.

5.4. **ბანკის** მიერ, **ხელშეკრულების** 5.2.1. და 5.2.2. ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში, **ხელშეკრულების** შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება ძალაში შედის და **ხელეკრულება** ავტომატურად წყდება **მეიჯარისათვის** შესაბამისი შეტყობინების გაგზავნის მომენტიდან, ხოლო **ხელშეკრულების ბანკის** ინიციატივით შეწყვეტის შემთხვევებში - **ბანკის** მიერ **მეიჯარისათვის** შეწყვეტის შესახებ წერილობითი შეტყობინების გაგზავნის დღიდან 30 (ოცდამეათე) კალენდარული დღეს.

5.5. **ხელშეკრულების** სრულად შეწყვეტის შემთხვევაში:

5.5.1. **ბანკი** ვალდებულია **მეიჯარეს** დაუბრუნოს **იჯარის საგანი** იმავე მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც ჩაიბარა **მეიჯარისაგან** (**იჯარის საგნის ხელშეკრულებით** განსაზღვრული სარგებლობის, **იჯარის საგნის** სწორი ექსპლოატაციის, ამორციზაციის, ნორმალური ცვეთის ან/და სარემონტო სამუშაოების გათვალისწინებით);

5.5.2. **ბანკი** უფლებამოსილია **მეიჯარის** მიერ **ბანკისათვის** გადასახდელის მოცულობის ფარგლებში არ გადაუხადოს **მეიჯარეს ხელშეკრულების** შეწყვეტის მომენტში არსებული **იჯარის საფასური,** რაც შესაბამისი მოცულობით ჩაითვლება (გაიქვითება) **მეიჯარის** მიერ **ბანკისათვის** გადასახდელის ანგარიშში.

5.5.3. **ბანკი** თავისუფლდება მის სანაცვლოდ **მეიჯარისათვის** ახალი მოიჯარის შეთავაზების ვალდებულებისაგან, ამასთან **მეიჯარე** არ არის უფლებამოსილი მოითხოვოს **ბანკისაგან** აღნიშნული პირობის შეუსრულებლობის შედეგად მიყენებული ზიანის/ზარალის ანაზაღაურება.

5.6. **ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა არ ათავისუფლებს **მეიჯარეს ხელშეკრულებით** ნაკისრი ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისაგან (გადახდისაგან) ამგვარი ვალდებულების იძულებითი ან ნებაყოფლობითი შესრულების მომენტამდე.

5.7. თუ **ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის შედეგები (მათ შორის პასუხისმგებლობა) არ არის გათვალისწინებული **ხელშეკრულებით,** მაშინ **მხარეები** იხელმძღვანელებენ შესაბამისი **კანონმდებლობით.**

6. ანგარიშსწორება

6.1. **ხელშეკრულების** საფუძველზე არსებული ფულადი ვალდებულებები, გარდა **იჯარის საფასურისა**, უნდა შესრულდეს (გადახდილ უნდა იქნას) შესაბამისი ფულადი ვალდებულებ(ებ)ის წარმოშობიდან (**პირგასამტეხლოს**, ზიანის/ზარალის ანაზღაურების შემთხვევაში მისი/მათი გადახდის მოთხოვნის წარდგენიდან) 10 (ათი) **საბანკო დღის** ვადაში.

6.2. თუ **ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **მხარეთა** შორის **ანგარიშსწორება** წარმოებს უნაღდო **ანგარიშწორების** წესით.

6.3. უნაღდო **ანგარიშწორების** შემთხვევაში ფულადი სახსრები უნდა ჩაირიცხოს **ხელშეკრულებაში** მითითებულ ან **მხარეთა** მიერ დამატებით მიწოდებულ/განსაზღვრულ საბანკო რეკვიზიტებზე.

7. კომუნიკაცია

7.1. **მხარეთა** შორის ნებისმიერი ურთიერთობა უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით და მიეწოდოს **მხარეს იჯარის ხელშეკრულებაში** ან/და **ბანკთან** არსებულ სხვა ხელშეკრულებ(ებ)ში მითითებულ საკონტაქტო მონაცემებზე პირადად, კურიერის (მათ შორის რეგისტრირებული ფოსტის ან/და სასამართლო კურიერის), ელექტრონული ფოსტის, ფიჭური კავშირგაბმულობის (მოკლეტექსტური შეტყობინების) ან/და **ბანკის** მიერ შემდგომში განსაზღვრული კომუნიკაციის სხვა საშუალებებით, იმის გათვალისწინებით, რომ:

7.1.1. **მეიჯარის** მიერ **ბანკისათვის** პირადად ან/და კურიერის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება **ბანკის** კანცელარიაში შეტყობინების რეგისტრაციის დღეს, ხოლო ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნისას, **ბანკის** მიერ **მეიჯარისათვის** მიღების დამადასტურებელი საპასუხო ელექტრონული წერილის გაგზავნის დღეს;

7.1.2. **ბანკის** მიერ **მეიჯარისათვის** კურიერის (მათ შორის რეგისტრირებული ფოსტის ან/და სასამართლო კურიერის) საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება **მეიჯარისათვის** ჩაბარების დღეს, ხოლო აღნიშნული ჩაბარების დადასტურება არ არსებობის შემთხვევაში **მეიჯარის** მისამართზე შეტყობინების ნებისმიერი **პირისთვის** ჩაბარებიდან მომდევნო კალენდარულ დღეს;

7.1.3. **ბანკის** მიერ **მეიჯარისათვის** ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება **მეიჯარის** ელექტრონული ფოსტის სერვერიდან მიღებული დასტურის (ადრესატის ელექტრონულ ფოსტაში რეგისტრაციის შესახებ შეტყობინების) გაცემის დღეს. ხოლო ასეთი დასტურის არ არსებობის შემთხვევაში მომდევნო კალენდარულ დღეს;

7.1.4. **ბანკის** მიერ **მეიჯარის** ფიჭური კავშირგაბმულობის (მოკლეტექსტური შეტყობინების) ან/და **ბანკის** მიერ შემდგომში განსაზღვრული კომუნიკაციის სხვა საშუალებებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება შეტყობინების გაგზავნიდან მომდევნო კალენდარულ დღეს.

ბანკი /

მეიჯარე /

7.2. იმ შეთხვევაში თუ **მეიჯარე ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ნებისმიერი საკონტაქტო მონაცემის (მათ შორის **ხელშეკრულებაში** არსებული ნებისმიერი რეკვიზიტის) ცვლილების შესახებ წინასწარ არ შეატყობინებს **ბანკს** ან/და უშუალოდ ან საკონტაქტო პირის საშუალებით უარს განაცხადებს **ხელშეკრულების** საფუძველზე გაგზავნილი შეტყობინების მიღებაზე, **ბანკის** მიერ განხორციელებული ნებისმიერი ასეთი შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად შეტყობინების გაგზავნიდან მომდევნო კალენდარულ დღეს.

8. კონფიდენციალურობა

8.1. **მხარე** ვალდებულია, როგორც **ხელშეკრულების** მოქმედების ვადაში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდეგაც, არ გაამჟღავნოს ან/და **მესამე პირ(ებ)ს** არ გადასცეს **კონფიდენციალური ინფორმაცია.**

8.2. **კონფიდენციალურ ინფორმაციას** არ განეკუთვნება: (ა) ინფორმაცია რომელიც **კანონმდებლობის** საფუძველზე არის/გახდება საჯარო; (ბ) ინფორმაცია, რომლის გამჟღავნების თაობაზეც არსებობს **კონფიდენციალური ინფორმაციის** მესაკუთრე **მხარის** წინასწარი წერილობითი თანხმობა ან/და **მხარეთა** შეთანხმება; (გ) ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებაც განხორციელდება, **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ შემთხვევებში, მათ შორის **მესამე პირ(ებ)ის** კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილების შედეგად;

8.3. **მეიჯარე ბანკს** ანიჭებს უფლებამოსილებას, **მეიჯარის** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის მიზნით, **მესამე პირ(ებ)ს** გადასცეს ან/და **მესამე პირ(ებ)ისაგან** მიიღოს (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად ს.ს.ი.პ. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსგან), **მეიჯარის** შესახებ არსებული **კონფიდენციალური ინფორმაცია.**

9. პრეტენზიები და დავები

9.1. **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ყველა დავა უნდა გადაწყდეს **მხარეთა** შორის მოლაპარაკების გზით.

9.2. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, **მხარეები** მიმართავენ სასამართლოს **ბანკის** ადგილსამყოფელის მიხედვით. ამასთან, **მხარეები** თანხმდებიან, რომ დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ **ბანკის** სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეული იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

10. ფორს-მაჟორი

10.1. **მხარე** არ არის პასუხისმგებელი მის მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობაზე ან/და არაჯეროვან შესრულებაზე, თუ აღნიშნული შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვანი შესრულება განპირობებულია **ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ის** მოქმედების შედეგად.

10.2. **მხარე**, რომელსაც წარმოეშვა **ფორს-მაჟორი**, მიუხედავად იმისა დასრულებულია თუ არა მისი მოქმედება, ვალდებულია: (ა) აღნიშნული გარემოებ(ებ)ის დადგომიდან 3 (სამი) **საბანკო დღის** ვადაში მიაწოდოს მეორე **მხარეს ფორს-მაჟორულ გარემოებ(ებ)თან** დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც უნდა შეიცავდეს **ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ის** აღწერას, მისი მოქმედების სავარაუდო ხანგრძლივობას, შეწყვეტის შემთხვევაში შეწყვეტის თარიღს/დროს და (ბ) მიიღოს აუცილებელი ზომები ამ გარემოებ(ებ)ით გამოწვეული/მოსალოდნელი შედეგების (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად ზიანის/ზარალი) შესამცირებლად/აღმოსაფხვრელად.

10.3. **მეიჯარის** მიერ **ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ზე** მითითებისას მათი არსებობა ან/და არარსებობა უნდა დასტურდებოდეს **კანონმდებლობის** საფუძველზე უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ცნობით, რომელიც **ბანკს** უნდა წარედგინოს **ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ის** შესახებ **ბანკისათვის** ინფორმაციის მიწოდებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

10.4. **სტანდარტული პირობების** 10.2. პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულება შესაბამის **მხარეზე** ვრცელდება **ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ის** შეწყვეტის შემთხვევაშიც.

10.5. **ფორს-მაჟორის** მოქმედების განმავლობაში, **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ვალდებულებები და მათი შესრულების ვადები შეჩერდება და გადავადდება **ფორს-მაჟორის** ხანგრძლივობის შესაბამისად. აღნიშნული ვადების დინება ან/და ვალდებულების შესრულების პირობა განახლდება **ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ის** აღმოფხვრისთანავე.

10.6. **მეიჯარე** ვალდებულია სრულად და ჯეროვნად შეასრულოს **ხელშეკრულებით** ნაკისრი სხვა ვალდებულებები თუ (ა) **ფორს-მაჟორის** მოქმედება არ ახდენს გავლენას მათ სრულ და ჯეროვან შესრულებაზე და (ბ) **ბანკს** აღნიშნული შესრულების მიმართ გააჩნია ინტერესი.

10.7. იმ შემთხვევაში თუ, **ფორს-მაჟორის** მოქმედებისას: (ა) **ფორს-მაჟორის** ვადის ხანგრძლივობა აღემატება 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარულ დღეს ან (ბ) **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შესრულების მიმართ **ბანკს** აღარ გააჩნია ინტერესი - **ბანკი** უფლებამოსილია ცალმხრივად მოითხოვოს **ხელშეკრულების** სრულად ან/და ნაწილობრივ შეწყვეტა.

11. მეიჯარეების სიმრავლე

11.1. **ხელშეკრულების** მიზნებისათვის, **„მეიჯარე“**-ს დეფინიციაში მოცემულ **პირებზე ხელშეკრულების** პირობები გავრცელდება სრულად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაბამისი **პირის** სამართლებრივი სტატუსიდან (ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი) გამომდინარე კონკრეტული პირობა ვერ გავრცელდება ამგვარ **პირზე.**

11.2. იმ შემთხვევაში, თუ **ხელშეკრულების მხარეს** წარმოადგენს ერთზე მეტი **მეიჯარე:**

11.2.1. თითოეული ასეთი **მეიჯარე** წარმოადგენს **ბანკის** მიმართ სოლიდარულ მოვალეს **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ვალდებულებებზე;

11.2.2. თითოეული **მეიჯარის** სოლიდარული პასუხისმგებლობა ძალაშია მიუხედავად მათ მიერ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების უზრუნველსაყოფად **ბანკის** სასარგებლოდ რაიმე ფორმით გაცემული დამატებითი ვალდებულების (მათ შორის, დაზღვევის ან/და გარანტიის) არსებობა/არარსებობისა;

11.2.3. ერთ-ერთ **მეიჯარესთან** დაკავშირებული ფაქტები გამოიყენება სხვა **მეიჯარის** მიმართაც, იმის გათვალისწინებით, რომ **ბანკის** მიერ რომელიმე **მეიჯარის** მიმართ თავისი უფლებების გამოუყენებლობა (სრულად ან ნაწილობრივ) არ გავრცელდება სხვა **მეიჯარეებზე** და არ ათავისუფლებს მათ შესაბამისი ვალდებულებებისაგან;

11.2.4. ერთ-ერთი **მეიჯარის** მიერ **ხელშეკრულების** დარღვევის შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია შესაბამისი მოთხოვნა/მოთხოვნები წაუყენოს ნებისმიერ **მეიჯარეს** და მის მიმართ ისარგებლოს **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი უფლებებით.

11.2.5. **ბანკი** უფლებამოსილია თავისი სურვილისამებრ შესრულება მოსთხოვოს ნებისმიერ **მეიჯარის** როგორც მთლიანად, ასევე ნაწილობრივ. სოლიდარული ვალდებულება ვრცელდება **მეიჯარის** უფლებამონაცვლეებსა და სამართალმემკვიდრეებზე მათი წილის შესაბამისად. თუ ერთი **მეიჯარის** ვალდებულებას შეასრულებს სხვა ნებისმიერი **მეიჯარე** კრედიტორის წინაშე მას უჩნდება რეგრესის უფლება იმ **მეიჯარის** მიმართ, ვისი ვალდებულებაც შეასრულა. თუ ერთ-ერთი **მეიჯარე** გადახდისუუნარო გახდება, ასეთ შემთხვევაში მის მიერ შეუსრულებელი ვალდებულება თანაბრად ნაწილდება სხვა **მეიჯარეებზე.**

12. სხვა პირობები

12.1. **მხარეები** ადასტურებენ, რომ **ხელშეკრულების** ხელმოწერისას ისინი მოქმედებდნენ გონივრული განსჯის შედეგად, წინასწარ გაეცნენ **ხელშეკრულებას**, სრულად ესმით **ხელშეკრულების** პირობების შინაარსი და ისინი სათანადოდ იქნა შესწავლილი **მხარეთა** მიერ.

12.2. თითოეული **მხარე** (ა) უფლებამოსილია ისარგებლოს **ხელშეკრულებით** განსაზღვრული უფლებ(ებ)ით და (ბ) ვალდებულია შეასრულოს **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ი.

12.3. თუ **ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული **ბანკის** მოთხოვნა **მეიჯარის** მიერ უნდა შესრულდეს მოთხოვნით განსაზღვრულ ვადაში, ხოლო ასეთის არ არსებობისას, **ბანკის** მოთხოვნიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

12.4. **ხელშეკრულების** რომელიმე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის **კანონმდებლობის** საფუძველზე ბათილად ცნობის/ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში დანარჩენი მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი, ქვეპუნქტ(ებ)ი ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას, ბათილი/ძალადაკარგული მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის, ქვეპუნქტ(ებ)ის ნაცვლად მოქმედებს ის მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი, რომლ(ებ)ითაც ადვილად მიიღწევა **ხელშეკრულების** მიზანი.

12.5. **ხელშეკრულებაში** ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა დასაშვებია წერილობითი ფორმით **მხარეთა** მიერ ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე. **ხელშეკრულებაში** შეტანილი ცვლილებები ა/და დამატებები წარმოადგენს **ხელშეკრულების** განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

12.6. ერთ-ერთი **მხარის** მიერ **ხელშეკრულებიდან** ან/და **კანონმდებლობიდან** გამომდინარე ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, მეორე **მხარის** მიერ უფლებ(ებ)ის გამოუყენებლობა არ წარმოადგენს მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმის საფუძველს, ამასთან აღნიშნული **მხარის** მიერ ამგვარი უფლებ(ებ)ის გამოუყენებლობა არ წარმოადგენს შემდგომში **ხელშეკრულების** ან/და **კანონმდებლობის** დარღვევის შედეგად წარმოშობილ მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმის საფუძველს.

12.7. ნებისმიერი და ყოველი უფლება, რომელიც მიენიჭება **მხარეს** მეორე **მხარის** მიერ **ხელშეკრულების** ან/და **კანონმდებლობის** სრულად ან ნაწილობრივ დარღვევის შედეგად, კრებითია და დაემატება **ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** მინიჭებულ ყველა სხვა უფლებას.

12.8. **მეიჯარე** არ არის უფლებამოსილი **ბანკის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე **მესამე პირ(ებ)ს** სრულად ან ნაწილობრივ დაუთმოს **ხელშეკრულებით** მინიჭებული უფლებები ან/და **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებები. ამასთან, **ბანკი** მიუხედავად აღნიშნული პირობისა უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებს **მესამე პირებისაგან** მიიღოს **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ვალდებულების შესრულება.

12.9. **ხელშეკრულების** პირობების მოქმედება სრულად ვრცელდება **მხარეებზე**, მათ თანამშრომლებზე, წარმომადგენლებზე, სამართალმემკვიდრეებსა და უფლებამონაცვლეებზე.

12.10. **ხელშეკრულება** რეგულირდება და განიმარტება **კანონმდებლობის** შესაბამისად. იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული

ბანკი /

მეიჯარე /

ხელშეკრულებით მხარეები იხელმძღვანელებენ **კანონმდებლობით** დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით ან/და დამატებით შეთახმებული პირობებით. ამასთან, **მხარეები** თანხმდებიან, რომ **ხელშეკრულების** შესრულების ადგილად მიიჩნევა **ბანკის** იურიდიული მისამართი.

12.11. **მხარეები** თანხმდებიან, რომ **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღურების ვალდებულება ეკისრება **მეიჯარეს** (მათ შორის და არამარტო, **მეიჯარე** უზრუნველყოფს, მიუხედავად გადახდის ვალდებულების წარმოშობის მომენტისა, **უძრავი ნივთის** ათვისებისა და მსგავსი ღონისძიებების გატარებისათვის **ხელშეკრულების** დადებამდე გაწეული ხარჯების, **უძრავი ნივთის რეესტრში** სარეგისრაციო წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯების, სანოტარო მომსახურების ხარჯების, აგრეთვე **უძრავ ნივთთან** დაკავშირებული დოკუმენტაციის **ბანკისათვის** მიწოდების ხარჯების ანაზღაურებას).

12.12. **ხელშეკრულებაში** არსებული მუხლ(ებ)ი/პუნქტ(ებ)ი/ქვეპუნქტ(ებ)ი დანომრილი და დასათაურებულია, ხოლო გამუქებული სიტყვები მოცემულია **ხელშეკრულების** შინაარსის მოხერხებულად აღქმის მიზნით და არ ახდენს გავლენას **ხელშეკრულების** პირობ(ებ)ის ინტერპრეტაციაზე.

12.13. თუ **ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **ხელშეკრულების** ხელმოწერამდე **მხარეთა** შორის **ხელშეკრულების** საგანზე არსებული სიტყვიერი ან/და წერილობითი შეთანხმებები ჩაითვლება ძალადაკარგულად.

12.14. **მეიჯარე** ვალდებულია ხელი მოაწეროს **ხელშეკრულების** ყველა გვერდს.

12.15. **ხელშეკრულება** შედგენილია ქართულ ენაზე. **მხარეთა** შეთანხმებით **ხელშეკრულება** დამატებით შესაძლოა დაიდოს სხვა ენაზეც. ამ შემთხვევაში ქართულ ენაზე შედგენილ **ხელშეკრულებას** უპირატესობა მიენიჭება სხვა ენაზე შედგენილ **ხელშეკრულების** ეგზემპლარებთან მიმართებაში.

12.16. **ხელშეკრულების** თითო თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარი გადაეცათ **მხარეებს.**

ბანკი /

მეიჯარე /

იჯარის საგნის აღწერა – 2018 წლის 13 ნოემბრის ნომერი №2 იჯარის ხელშეკრულების - დანართის რიგით ნომერი: 1.

ქ. თბილისი, საქართველო

13 ნოემბერი, 2018 წელი

1. **მხარეები**:

1.1.	**ბანკი:**	
1.1.1.	საფირმო სახელწოდება:	**სს "ლიბერთი ბანკი"**
1.1.2.	საიდენტიფიკაციო კოდი:	203828304
1.1.3.	წარმომადგენელი (ხელმომწერი) პირი:	ნიკოლოზ აბასაშვილი
•	წარმომადგენლის თანამდებობა:	იჯარით აღებული აქტივების მართვის მენეჯერი

1.2.	**მეიჯარე:**	
1.2.1.	სახელი და გვარი/საფირმო სახელწოდება:	**"შპს მედოპტიკა"**
1.2.2.	პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო კოდი:	211401348
1.2.3.	წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი):	ნოდარი გურგენიძე
•	პირადი ნომერი:	01024025649
•	წარმომადგენლის თანამდებობა:	დირექტორი

2. **იჯარის საგნის აღწერა**

2.1.	***უძრავი ნივთი:***	
2.1.1.	მისამართი:	საქართველო, ქალაქი თბილისი, გურამ ფანჯიკიძის ქ. №6;
2.1.2.	საკადასტრო კოდი:	01.10.14.006.008.01.505
2.1.3.	განცხადების რეგისტრაციის ნომერი და თარიღი:	892018842559 - 04/10/2018 11:10:07
2.1.4.	**იჯარის საგნის** დანიშნულება/დასახელება:	**მეიჯარის** საკუთრებაში არსებული 180 კვ.მ. ფართიდან;
2.1.5.	**იჯარის საგნის** ფართობი:	180 კვ.მ;
2.1.6.	იპოთეკა/საგადასახადო გირავნობა:	რეგისტრირებულია;
2.1.7.	სარგებლობა:	რეგისტრირებული არ არის;
2.1.8.	ვალდებულება:	რეგისტრირებული არ არის;
2.1.9.	ყადაღა/აკრძალვა:	რეგისტრირებული არ არის;
2.1.10.	მოვალეთა რეესტრი:	რეგისტრირებული არ არის;
2.2.	***მოძრავი ნივთი:***	
2.2.1.	**უძრავი ნივთის** საკუთვნებელი, ტექნიკური მოწყობილობები და სხვა:	განსაზღვრული არ არის;

3. წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს **ხელშეკრულების დანართს** და მის განუყოფელ ნაწილს და მასზე სრულად ვრცელდება **ხელშეკრულების** მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის მოქმედება.
4. **დანართის** თითო იდენტური ეგზემპლარი გადაეცათ **მხარეებს**.
5. **მხარეთა** ხელმოწერები

ბანკი

მეიჯარე

ბანკი /

მეიჯარე

მიღება–ჩაბარების აქტი – 2018 წლის 13 ნოემბრის №1 ხელშეკრულების - დანართის რიგითი ნომერი: 2

ქ. თბილისი, საქართველო

13 ნოემბერი, 2018 წელი

1. მხარეები:

1.1.	**ბანკი:**	
1.1.1.	საფირმო სახელწოდება:	**სს "ლიბერთი ბანკი"**
1.1.2.	საიდენტიფიკაციო კოდი:	203828304
1.1.3.	წარმომადგენელი (ხელმომწერი) პირი:	ნიკოლოზ აბასაშვილი
•	წარმომადგენლის თანამდებობა:	იჯარით აღებული აქტივების მართვის მენეჯერი

1.2.	**მეიჯარე:**	
1.2.1.	სახელი და გვარი/საფირმო სახელწოდება:	**"შპს მედოპტიკა"**
1.2.2.	პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო კოდი:	211401348
1.2.3.	წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი):	ნოდარი გურგენიძე
•	პირადი ნომერი:	01024025649
•	წარმომადგენლის თანამდებობა:	დირექტორი

2. **იჯარის საგნის ბანკისათვის გადაცემა**

2.1. **ბანკი** წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ **მეიჯარისაგან** მიღებული **იჯარის საგნის** გარეგანი/ვიზუალური დათვალიერების შედეგად არსებული ნივთობრივი მდგომარეობა აღწერილია წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტის 2.2. პუნქტში.

2.2.	***იჯარის საგნის** (მასთან დაკავშირებული მისასვლელების, გარე და შიდა კომუნიკაციების და ა.შ.) ნივთობრივი მდგომარეობა:*	დიახ	არა	შენიშვნა:
2.2.1.	**იჯარის საგანი** ვარგისია ადამიანთა სამყოფელად:	☒	☐	
2.2.2.	იატაკი საჭიროებს შეცვლას:	☒	☐	**ბანკის მიერაა მოწყობილი, რემონტის ჩატარებისას შესაცვლელია**
2.2.3.	კედლები საჭიროებს სრულ რეაბილიტაციას:	☐	☒	
2.2.4.	კედლები საჭიროებს კოსმეტიკურ რემონტს:	☒	☐	
2.2.5.	ჭერი საჭიროებს სრულ რეაბილიტაციას:	☐	☒	
2.2.6.	ჭერი საჭიროებს კოსმეტიკურ რემონტს:	☒	☐	**ბანკის მიერაა მოწყობილი, რემონტის ჩატარებისას შესაცვლელია**
2.2.7.	აღჭურვილია შიდა ელექტროგაყვანილობით და შესაბამისი სანათებით:	☒	☐	**ბანკის მიერაა მოწყობილი, რემონტის ჩატარებისას შესაცვლელია**
2.2.8.	აღჭურვილია ცენტრალური გათფობის სისტემით:	☒	☐	**ბანკის მიერაა მოწყობილი, რემონტის ჩატარებისას შესაცვლელია**
2.2.9.	აღჭურვილია კონდიცირების სისტემით:	☒	☐	**ბანკის მიერაა მოწყობილი, რემონტის ჩატარებისას შესაცვლელია**
2.2.10.	აღჭურვილია ვენტილაციის სისტემით:	☐	☒	
2.2.11.	აღჭურვილია ელექტროენერგიის სამფაზა კაბელით:	☐	☒	
2.2.12.	აღჭურვილია ელექტროენერგიის მრიცხველით:	☒	☐	
2.2.13.	შეყვანილია ბუნებრივი აირის ქსელი:	☒	☐	
2.2.14.	აღჭურვილია ბუნებრივი აირის მრიცხველით:	☒	☐	
2.2.15.	შეყვანილია სასმელი წყლის გაყვანილობა:	☒	☐	
2.2.16.	აღჭურვილია სასმელი წყლის მრიცხველით:	☒	☐	
2.2.17.	გააჩნია მოქმედი და ცენტრალურ კანალიზაციაზე დაერთებული საკანალიზაციო ქსელი:	☒	☐	
2.2.18.	აღჭურვილია სატელეფონო კავშირგაბმულობით:	☐	☒	
2.2.19.	აღჭურვილია ინტენეტ კავშირის ხაზებით:	☒	☐	**ბანკის მიერაა მოწყობილი**
2.2.20.	ნებისმიერი სხვა ნივთობრივი მდგომარეობა, რაც არ არის მითითებული მიღება-ჩაბარების აქტის 2.2. პუნქტში:	განსაზღვრული არ არის;		

2.3. **ბანკი** წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ **მეიჯარისაგან** მიიღო **იჯარის საგანი**, რომლის უფლებრივი მდგომარეობა აღწერილია **ხელშეკრულების #1 დანართში**, ხოლო გარეგანი/ვიზუალური დათვალიერების შედეგად არსებული ნივთობრივი მდგომარეობა წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტის 2.4. პუნქტში.

2.4.	***იჯარის საგნის** (მასთან დაკავშირებული მისასვლელების, გარე და შიდა კომუნიკაციების და ა.შ.) ნივთობრივი მდგომარეობა:*	დიახ	არა	შენიშვნა:
2.4.1	**იჯარის საგანი** ვარგისია ადამიანთა სამყოფელად:	☒	☐	
2.4.2	იატაკი საჭიროებს შეცვლას:	☒	☐	
2.4.3	კედლები საჭიროებს სრულ რეაბილიტაციას:	☐	☒	**ფართების გამყოფი საყრდენი კედელია მოსახსნელი ფართის მეპატრონის მიერ**
2.4.4	კედლები საჭიროებს კოსმეტიკურ რემონტს:	☒	☐	
2.4.5	ჭერი საჭიროებს სრულ რეაბილიტაციას:	☐	☒	
2.4.6	ჭერი საჭიროებს კოსმეტიკურ რემონტს:	☒	☐	
2.4.7	აღჭურვილია შიდა ელექტროგაყვანილობით და შესაბამისი სანათებით:	☒	☐	**ბანკის სტანდარტის მიხედვით შესაცვლელია**
2.4.8	აღჭურვილია ცენტრალური გათფობის სისტემით:	☐	☒	
2.4.9	აღჭურვილია კონდიცირების სისტემით:	☐	☒	
2.4.10	აღჭურვილია ვენტილაციის სისტემით:	☐	☒	
2.4.11	აღჭურვილია ელექტროენერგიის სამფაზა კაბელით:	☒	☐	
2.4.12	აღჭურვილია ელექტროენერგიის მრიცხველით:	☒	☐	

ბანკი /

მეიჯარე

2.4.13	შეყვანილია ბუნებრივი აირის ქსელი:	☒	☐	
2.4.14	აღჭურვილია ბუნებრივი აირის მრიცხველით:	☒	☐	
2.4.15	შეყვანილია სასმელი წყლის გაყვანილობა:	☒	☐	
2.4.16	აღჭურვილია სასმელი წყლის მრიცხველით:	☒	☐	
2.4.17	გააჩნია მოქმედი და ცენტრალურ კანალიზაციაზე დაერთებული საკანალიზაციო ქსელი:	☒	☐	
2.4.18	აღჭურვილია სატელეფონო კავშირგაბმულობით:	☐	☒	
2.4.19	აღჭურვილია ინტერნეტ კავშირის ხაზებით:	☐	☒	
2.4.20	ნებისმიერი სხვა ნივთობრივი მდგომარეობა, რაც არ არის მითითებული მიღება-ჩაბარების აქტის 2.2. პუნქტში:	განსაზღვრული არ არის;		

3. **მხარეები** ადასტურებენ, რომ წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული **იჯარის საგნის** აღწერა გამომდინარეობს მხოლოდ და მხოლოდ **იჯარის საგნის** (მასთან დაკავშირებული მისასვლელების, გარე და შიდა კომუნიკაციების და ა.შ.) გარეგანი, ვიზუალური დათვალიერების შედეგად.
4. წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტი წარმოადგენს **ხელშეკრულების დანართს** და მის განუყოფელ ნაწილს და მასზე სრულად ვრცელდება **ხელშეკრულების** მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის მოქმედება.
5. **დანართის** თითო იდენტური ეგზემპლარი გადაეცათ **მხარეებს**.
6. **მხარეთა** ხელმოწერები

ბანკი **მეიჯარე**

ბანკი /

მეიჯარე /

ბუღალტრიის ქ. №:6

მ.ო. ფანთი 209 ა

ლიტ. ა I სართულის გეგმა



მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 01.10.14.006.008.01.505**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია	მომზადების თარიღი
N 892018990528 - 14/11/2018 11:18:34	**20/11/2018 11:50:53**

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	კოდი
თბილისი	საბურთალო			
01	**10**	**14**	**006/008**	**01/505**

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: **თანასაკუთრება**
ნაკვეთის ფუნქცია: **არასასოფლო სამეურნეო**
დაზუსტებული ფართობი:1255.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: **6;**
შენობა-ნაგებობები: **N1, N2, N3 და N4**

მისამართი: ქალაქი თბილისი, გურამ ფანჯიკიძის ქუჩა, N 6

მესაკუთრეები

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 892018034702 , თარიღი 16/01/2018 11:29:21
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 14/02/2018

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება N180031196 , დამოწმების თარიღი:12/01/2018 ,ნოტარიუსი ქეთევან ჩხიკვაძე
- ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ 2000 წლის 28 იანვარს გაცემული საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა N763.

მესაკუთრეები:
ხათუნა აფხაზიშვილი,P/N: 01024056279
შპს "მედოპტიკა", ID ნომერი:211401348

მესაკუთრე:	საკუთრების ტიპი:	საკუთრება:	ფართი:	წილი:
180 კვ.მ შპს "მედოპტიკა" 29 კვ.მ ხათუნა აფხაზიშვილი	თანასაკუთრება	**ფართი**	209.00 კვ.მ.	

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

სარგებლობა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 892018990528 თარიღი 14/11/2018 11:18:34

მოიჯარე: **სააქციო საზოგადოება "ლიბერთი ბანკი"**203828304;
მესაკუთრე: **შპს "მედოპტიკა"**211401348;
საგანი:შპს "მედოპტიკა"-ს საკუთრებაში არსებული 180.00 კვ.მ.;
ვადა:10 წელი;

უფლების რეგისტრაცია: თარიღი 20/11/2018

იჯარის ხელშეკრულება N2, დამოწმების თარიღი14/11/2018, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge